

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 185

08.12. 2009 წ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების საფასურის დადგენის შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სწავლის წლიური გადასახადი სწავლების ყველა საფეხურზე 2010/2011 სასწავლო წლიდან გაუტოლდეს საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილ სწავლის წლიურ საფასურს;
2. სტუ-ის სწავლების სხვადასხვა საფეხურის და სწავლების სხვადასხვა წლის უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირ-სტუდენტებთან 2010/2011 სასწავლო წლიდან გაფორმდეს ახალი ხელშეკრულებები ამ დადგენილების პუნქტი 1-ის თანახმად;
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 16 ოქტომბრის სხდომის (ოქმი № 24) გადაწყვეტილება.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

გ. სალუქვაძე

